პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

28 თებერვალი, 2024 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №2 და №3 დანართები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№2 და №3 დანართები წინამდებარე
დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის
№ ..... დადგენილების დანართი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა
ნ უ ს ხ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 14 მოსამსახურე. მათ შორის:

1. საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი - 2 ერთეული;
2. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 1 ერთეული;
3. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე - 1 ერთეული;
4. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე - 2 ერთეული;
5. მოწვეული სპეციალისტი – 6 ერთეული;
6. სპეციალისტი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) – 1 ერთეული;
5. დამხმარე მოსამსახურე – 1 ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის
№ …... დადგენილების დანართი № 3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური
თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის
შ ე ს ა ხ ე ბ

№ რიგზე	თანამდებობის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ლარში
საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირი: 18 ერთეული. მათ შორის:			
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	1	6105
2.	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4775
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4231
4.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3325
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2926
6.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7	2394

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **ზოგადი ინფორმაცია:**

დადგენილების მიღების მიზეზი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია იმით, რომ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც იმუშავებს მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კონსულტაციასა და მეთოდურ დახმარებას გაუწევს პერსონაური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს; გააკეთებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს; უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების სტანდარტების ამაღლების მიზნით სხვა ფუნქციების შესრულებას.

2. შემცირდა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილის ერთი შტატი.

2. დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

წინამდებარე დადგენილების მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის ზრდას.

2. **დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

3. **დადგენილების პროექტის ავტორი:**

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატრარიძე.

4. **საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:**

საკრებულოს აპარატის უფროსი, ივანე ჟორჟოლიანი.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი